საქართველოს მთავრობის

დადგენილება №578

2022 წლის 19 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2018, 300160070.10.003.020315) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილებას 2^9 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^{10}-2^{11} მუხლები:

„**მუხლი 2^{10}.** თევზის ქონის მწარმოებელი ბიზნესოპერატორი ექვემდებარება (გარდა პროდუქტის იმპორტთან დაკავშირებით გათვალისწინებული მოთხოვნების ნაწილისა) სახელმწიფო კონტროლსა და აღიარებას 2023 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 2^{11}. ბიოდიზელის მწარმოებელი ბიზნესოპერატორი ექვემდებარება (გარდა პროდუქტის იმპორტთან დაკავშირებით გათვალისწინებული მოთხოვნების ნაწილისა) სახელმწიფო კონტროლსა და აღიარებას 2023 წლის პირველი იანვრიდან.“.

2. დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4.** დადგენილება, გარდა ამ დადგენილების მე-2, 2^1 – 2^4, 2^9 – 2^{11} და მე-3 მუხლებისა და ამ მუხლებთან დაკავშირებული დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებისა, ამოქმედდეს 2026 წლის პირველი იანვრიდან.“.

მუხლი 2

დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გადავადებული ნორმების ამოქმედებისთვის საჭირო ღონისძიებების გეგმის დამტკიცება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით 2023 წლის პირველ ივნისამდე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**